



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12044/3-81/21 2 10122021



12044/3-81/21
10-12-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს,
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, 2021 წლის განმავლობაში თქვენი უწყების მხრიდან რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დეკლარირებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

4434-01-2-202112241107



N 01/4434

24/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2021 წლის 10 დეკემბრის 12044/3-81/21 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის 7203/01; 10.12.2021) პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, განაგრძობს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია ერთი მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგისა და წლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით (Road Map 2 EU) გათვალისწინებული დამატებითი სექტორული ინიციატივებით. აღვნიშნავთ, რომ შესაბამისი ვალდებულებების შესრულება შეფასდა, როგორც წარმატებული ასოცირების შეთანხმების კომიტეტისა და სექტორული ქვე-კომიტეტის ფორმატში, რომელიც იმართება ყოველწლიურად მხარეების მონაწილეობით.

იმ პროგრამებსა და ინიციატივებს შორის, რომლებიც აქტიურად ხორციელდებოდა მიმდინარე წელს და რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირთან თემატური პარტნიორობის გაძლიერებას, განსაკუთრებით საგულისხმოა: საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის (RDP) განხორციელება; 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) განხორციელება; 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება; ჰარმონიზაციის (პირველადი) გეგმის მომზადება ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის NUTS კლასიფიკაციის საქართველოში ეტაპობრივი დანერგვისთვის; „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ სტრატეგიის მოსამზადებელი კვლევები და სამუშაოები იმერეთის (საპილოტე) რეგიონისთვის.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12047/3-81/21 2 10122021



12047/3-81/21

10-12-2021

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, 2021 წლის განმავლობაში თქვენი უწყების მხრიდან რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დეკლარირებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 3 21 01367522

24.12.2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

მიმდინარე წლის 10 დეკემბრის თქვენი N12047/3-81/21 წერილის პასუხად, დანართის სახით წარმოგიდგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას.

დანართი: „9“ ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12048/3-81/21 2 10122021



12048/3-81/21
10-12-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს,
ქალბატონ ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, 2021 წლის განმავლობაში თქვენი უწყების მხრიდან რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დეკლარირებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



KA020109416956121

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 07/8955

24 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 10 დეკემბრის №12048/3-81/21 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N186 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო პასუხისმგებელია ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილის განხორციელების საერთო კოორდინაციასა და მონიტორინგზე. ამ მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ შეიმუშავებს და ამტკიცებს DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიან და წლიურ სამოქმედო გეგმებს. აღნიშნული სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშები კვარტალში ერთხელ ქვეყნდება www.dcfta.gov.ge ვებგვერდზე.

DCFTA-ის განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის 9 თვის შესრულების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://dcfta.gov.ge/assets/uploads/implimentation/GEO%20-%202020%20months%20report%20-%202021%20DCFTA%20AP.pdf>

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერა/
შტამგდამსულია
ელექტრონულად



ნათელა თურნავა



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12040/3-81/21 2 10122021



12040/3-81/21
10-12-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს,
ბატონ დავით ზალკალიანს

ბატონო დავით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, 2021 წლის განმავლობაში თქვენი უწყების მხრიდან რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დეკლარირებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი
VICE PRIME MINISTER, MINISTER OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

N 01/35752



27/12/2021

35752-01-2-202112271019

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

2021 წლის 10 დეკემბრის N 12040/3-81/21 თქვენი წერილის პასუხად, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დეკლარირებული ვალდებულების შესაბამისად, გიგზავნით 2021 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციას.

დანართი: 11 გვერდი.

პატივისცემით,
დავით ზალკალიანი